ნ. პოგოდინი

# ნიკოლოზ პოგოდინი

## რას ჟღერდნენ სიმები

პატარა დრამა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ზოია
ლიზა
მილოჩკა
საროჩკინი
ხმელკო
} ახალი მეურნეობის ახალგაზრდა მუშები

უზოროვი მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, 25 წლისა
ლისავეცი ბრიგადირი, თითქმის 40 წლისა
სერედა ტრაქტორისტი 23-25 წლისა

SHOTA RUSTAVELI THEATRE AND FILM GEORGIAN STATE UNIVERSITY LIBRARY

## სცენა პირველი

მოქმედება წარმოებს ყამირ მიწებზე, არყის ხეების ტყის პირას გაშლილია თეთრი კარვები. საღამო ხანია. სცენაზე არიან ზოია, ლიზა.

ლ ი ზ ა (ათვალიერებს). რა დაუსახლებელი, უკაცრიელი ადგილია. ალბათ ღამ-ღამობით აქ ყოფნა შემზარავია. არა? მაგრამ მაინც კარგია.

ზ ო ი ა. შენ ალბათ ყამირი ცარიელ უდაბნოდ გქონდა წარმოდგენილი, ხომ? მოემგზავრებოდი და გმირულ საქმეებზე ოცნებობდი. ნამდვილად კი აქ საშინლად იკბინებიან კოღოები, კინოს ძალიან იშვიათად უჩვენებენ, კვება საშუალოა, დირექტორი მკაცრია, ვაჭრობა—სუსტი, თუმცა მე კი ვიშოვე ლურჯი საწვიმარი. კიდევ რა? შემეკითხე, სრულ ინფორმაციას მოგაწვდი.

ლ ი ზ ა. თქვენ ისედაც საკმაოდ სწრაფად ახასიათებთ ყველაფერს.

ზ ო ი ა. ვერ ვიტან „თქვენობით" ლაპარაკს. მე მგონია შეიძლება გულითადი ლაპარაკი.

ლ ი ზ ა. კარგი. როგორ სტეხ შენ აქ ყამირს?

ზ ო ი ა (გაიცინა). მე?.. გაგიჟდი? ამისათვის არსებობს ტრაქტორი, გუთანი და, საერთოდ, ყოველგვარი ტექნიკა. მე ჩვენს ბრიგადაში უფროსი მზარეული ვარ, თუმცა სამზარეულო ხელოვნებაში არაფერი გამეგება.

ლ ი ზ ა. რომელ ადგილზეა თქვენი ბრიგადა?

ზ ო ი ა. ვერ გაიგებ. ხან პირველ ადგილზე არიან, ხან კი— ბოლოში. დღეს წესრიგია, ხვალ კი ყველა გუთანს დაამტვრევს. ისინი ამბობენ, რომ ყამირი, რაღაც უკულტურო მიწაა. სასაცილოა.

ლ ი ზ ა. წარმოიდგინე, რომ, მართლაც არსებობს კულტურული და უკულტურო მიწები.



ზ ო ი ა. შენ თურმე ნასწავლი ხარ.

ლ ი ზ ა. ვიდრე აქ წამოვიდოდი, წიგნები წავიკითხე. არც თუ ისე ძნელია გაგება.

ზ ო ი ა. რის გაკეთებას აპირებ აქ?

ლ ი ზ ა. პირველად—რასაც მეტყვიან. შემდეგ კი ტრაქტორისტი მინდა გავხდე.

ზ ო ი ა. საპატიო, მაგრამ საკმაოდ ბინძური სამუშაოა.

ლ ი ზ ა. მე სასალტე ქარხანაში ვმუშაობდი. იქ უფრო მძიმე სამუშაო იყო.

ზ ო ი ა. ჩამოხვიდე სადღაც ციმბირში, ამ სიძორე მანძილზე და არაფერს გამორჩე... არ ვიცი... თუმცა, ჩვენს შორის დარჩეს და ყამირ მიწებზე გათხოვება ადვილია... რა წუთსაც გინდა! გაითვალისწინე!

ლ ი ზ ა (დაცინვით). გავითვალისწინებ.

ზ ო ი ა. შენ ნუ იცინი.

ლ ი ზ ა. არა, რატომ. სხვათაშორის ჩვენ ერთმანეთი არ გაგვიცვნია. შენ რა გქვია?

ზ ო ი ა. კოლენკინა. სახელი—ზოია. მე მეურნეობაში ცნობილი ვარ. ყველა მიცნობს. მოიტა, გეთაყვა, შენი ბარგი, ჩემს კარავში იცხოვრე. გავასახლებ ჩვენგან ერთ პიროვნებას. ის მე სიცოცხლეს მიმწარებს. (იღებს ბარგს)

ლ ი ზ ა. რატომ? მე თვითონ.

ზ ო ი ა. იჯექი ადგილზე. ჩემთვის აუცილებელია გავასახლო ის პიროვნება. (წასვლისას) შენ რა გქვია?

ლ ი ზ ა. ლიზა საჟინა.

ზ ო ი ა. არ შეშინდე, ლიზა. მე და შენ კარგად მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას.

### სცენა მეორე

ზოია წავიდა. ლიზა ჯდება სკამზე მაგიდასთან, რომელზედაც სადილობენ ხოლმე. მოისმის გიტარის ხმები. მალე გამოჩნდება ლევ საროჩკინი.

ს ა რ ო ჩ კ ი ნ ი. ასეთი შესანიშნავი ქალიშვილები ჩვენს ჰორიზონტზე ჯერ არ გამოჩენილან. სიამოვნებით წარმოგიდგენთ ჩემს თავს: ლევ საროჩკინი. ინდუსტრიის გამოგზავნილი, სპეციალობით უმაღლესი თანრიგის ელექტრომემდუღლებელი. თქვენ როგორ ხართ განწყობილი გიტარის მიმართ?

ლიზა. არც როგორ!

საროჩკინი. ჰო, რასაკვირველია, იაფფასიანი სიამოვნებაა, მაგრამ მაინც გართობს... ზოგჯერ კი სიმებით იმას გამოთქვამ, რის ენით გამოთქმაც შეუძლებელია. აი დაუგდეთ ყური... (უკრავს) ჟღერენ ისინი? ჰოდა, დგება საკითხი: რაზე ჟღერენ ისინი?

ლიზა. მეც მაქვს შეკითხვა: თქვენს ბრიგადაში ყველა ასეთი ლაქლაქაა, როგორც თქვენ?

საროჩკინი. ჩემს გარდა ამ ბრიგადაში ყველა უვარგისია. არა, ვცდები: მხოლოდ ზოია შეიძლება გამოირჩეს. გთხოვთ, გაიცნოთ.

ლიზა. უკვე გავიცანით ერთმანეთი.

საროჩკინი. მე კი, რატომ არ მოგწონვართ? სახელი შთამაგონებელი მაქვს. პერმანენტს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. წამოსვლის წინ დავიხვიე. ვისველებ, ვისველებ და ვერაფრით ვერ ვასწორებ. საერთოდ კი წესიერი ადამიანი ვარ, ხულიგანი არა ვარ, ჩემს ასაკში მე-7 თანრიგი მაქვს. აქ ნორმანახევარზე მივდივარ. შემიძლია გიჩვენოთ დახასიათება, რომელიც კომკავშირულმა ორგანიზაციამ მომცა. (ამოიღებს ქაღალდს).

ლიზა. მომისმინეთ, რა გქვიათ...

საროჩკინი. ლევ საროჩკინი.

ლიზა. ნუთუ თქვენ ყველა პირველ შემხვედრ ქალიშვილს ამ ქაღალდს უჩვენებთ?

საროჩკინი. ოჰ, ლიზა, ლიზა! და თქვენ თქვენს თავს ყოველ პირველ შემხვედრს ადარებთ?

ლიზა. საიდან იცით თქვენ ჩემი სახელი?

საროჩკინი. გავიგონე. ვიდექი ამ არყის ხეებს უკან და...

ლიზა. ე. ი. თქვენ სტყუოდით, როცა მირჩევდით ზოია გამეცნო?

საროჩკინი. ვტყუოდი.

ლიზა. ვინც წვრილმანში ტყუის, ის დიდ საქმეშიაც მოიტყუებს.

საროჩკინი. ადამიანი, რომელიც დიდში ტყუის, წვრილმანში არ იტყუებს.

ლიზა. ოჰო! თქვენ არც თუ ისე სულელი ყოფილხართ!

საროჩკინი. დაანებეთ თავი ამ უსაფუძვლო კამათს, ლიზა. უკეთესია დაუგდეთ ყური, რაზე ჟღერენ ეს სიმები (უკრავს რაღაც ბოშურს). რამდენ ხელშეუხებელ გრძნობას ვაქსოვ მე მათში.



ლიზა. ჯერ ამბობდით, რომ იაფფასიანი სიამოვნებაა, ეხლა კი... გრძნობებს აქსოვთ.

საროჩკინი. ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ ასეთი გულღია ვარ. დაგინახე, გულს ცეცხლი მოედო და პირდაპირ ვამბობ, რომ ცეცხლი მოედო.

(ლიზა ჩაიცინებს).

ჩემთვის გასაგებია თქვენი ღიმილი. რასაკვირველია, მე ჯერ არ დამიმსახურებია თქვენი ნდობა, მაგრამ სამაგიეროდ შემდეგ...

ლიზა. რა შემდეგ?

საროჩკინი. შევეცდებით უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი და თქვენ თვითონ დაინახავთ, რა იქნება შემდეგ. (ამოიოხრებს) ვეძებ ოცნებას, არავინ არ იცის როგორი ოცნება მაქვს მე. (დაიხრება მოსაუბრისკენ) უბრალო ყვავილებიანი კაბა, სადად გადავარცხნილი თმა, საფეთქლებთან დახუჭუჭებული.

ლიზა (მიხვდა რომ მასზე ლაპარაკობს). კაბა ყვავილებიანი კი არა, ზოლებიანი რომ იყოს?

საროჩკინი. არა, გენაცვალე, თქვენ სხვას ამბობთ. ბედნიერება ის კი არ არის როგორი კაბა გაცვიათ, ბედნიერება ის არის, როგორი ადამიანი ხართ თქვენ.

ლიზა. ოჰ, თქვენ... თქვენ, ვისაც გინდათ, დაახვევთ თავბრუს.

საროჩკინი (თითქოს ვერ გაიგო). შესაძლებელია შემდეგში მე მწარედ შევცდე თქვენს ცნობაში... მაგრამ არა, არა მგონია. ეს სხივიანი თვალები...

ლიზა. გეყოფათ. ეს უკვე მასხრად აგდებაა.

საროჩკინი. მე ხომ თქვენზე უკეთესად ვხედავ.

ლიზა. არავის არ უთქვამს ჯერ ჩემთვის, რომ მე სხივიანი თვალები მაქვს.

საროჩკინი. ე. ი. თქვენ იდიოტებს ხვდებოდით, რომლებიც ვერაფერს ხედავდნენ და არ შეუძლიათ ორი სიტყვა გადააბან ერთმანეთს.

ლიზა. თქვენ კი, გეტყობათ, შეგიძლიათ.

საროჩკინი (დაძალებით). შემიძლიან, დიახ, მგონია შემიძლიან. ათი კლასი მაქვს დამთავრებული.

ლიზა (შურით). სამუშაოდან მოუწყვეტლად?

საროჩკინი. დიახ, მოუწყვეტლად.

ლიზა. მე კი, ცოდვილმა, ვერ შევძელი. ვეცადე და ძალა არ მეყო, თუმცა თქვენ ქარხანაში მეტად მძიმე სამუშაოა...

საროჩკინი. ყველაფერი ჩვენს ხელშია. შემიძლია მოგამზადო, ზამთარში წახვალ სასწავლებლად. მოდი, ლიზა, დავმეგობრდეთ.

ლიზა. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ მეგობრობა ხომ თავისთავად მოდის.

საროჩკინი. მოიტა ხელი... მე და შენ მეგობრები ვართ.

ლიზა. ოღონდ მეგობრობას მე სერიოზულად ვუყურებ.

საროჩკინი. შენ გგონია, მე კი სხვაგვარად ვუყურებ? (უკრავს) მხოლოდ სიმებს შეუძლია ჩემი ხელშეუხებელი გრძნობების გამოხატვა. რა ბედნიერი ვარ დღეს. ვინ მიელოდა ასეთ დაუვიწყარ შეხვედრას. (პაუზა. უკრავს) ლიზა, შენ სცდები, რომ არ აფასებ გიტარას. გიტარა კარგი რამეა.

## სცენა მესამე

ჩაივლიან ტრაქტორისტები სერედა და ხმელკო, შემდეგ ბრუნდება ზოია.

სერედა (მისთვის დამახასიათებელი აქცენტით). ჩვენს გმირს კარგი რეპერტუარი აქვს და კარგი მუსიკოსიც არის.

ხმელკო (უკრაინული აქცენტით). რას ერჩით ყმაწვილს. მომუშავე კარგია. მთავარიც ხომ ეს არის.

სერედა. არა, ეს ცოტაა.

ხმელკო. ამ საკითხზე დისკუსიას არ ვიწყებ.

(სერედა და ხმელკო მიდიან).

ლიზა. ცუდად ხართ ერთმანეთთან?

საროჩკინი. ყურადღებას არ ვაქცევ.

ლიზა. როგორ შეიძლება ასე კოლექტივში?

საროჩკინი. კი, მაგრამ თუ კოლექტივი შურით გიყურებს, მაშინ როგორ უნდა მოიქცე? მერე ბრიგადა ხომ კოლექტივი არ არის? და ხალხიც აქ მეტად სხვადასხვაგვარია. წამოდი, ლიზა, გავიაროთ.

(შემოდის ზოია)

ზოია (ნაწყენი). ლევკა. (უფრო რბილად) ეჰ, ლეო, ლეო, მე შენს ადგილას ჩამოვკიდებდი გიტარას ლურსმანზე.

საროჩკინი. შენც?



ზოია. შენს თავზე ღრუბლები იქუფრება, შენ კი ისე იქცევი, თითქოს ვერაფერს ამჩნევდე.

საროჩკინი. მე ნორმანახევრის მაჩვენებლებით მივდივარ და მალე შეჯიბრების მოწინავეებში გავალ. მათ შურთ, რომ საროჩკინს შეუძლია მიიღოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მე არც უარვყოფ, რომ ვარსკვლავისთვის მოვდიოდი აქ...

ზოია. არავის არ შურს შენი. მე ამაზე სულაც არ ვლაპარაკობ.

ლიზა. მაშ რაზე?

ზოია. ჩვენი ლოვა გოგონებს უყვართ...

## სცენა მეოთხე

შემოდის ბრიგადირი ლისავეცი თეფშით ხელში. რაღაცას ნერვიულობს.

ლისავეცი (ბელორუსული აქცენტით). ზოია, მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რა ჰქვია ამ კერძს?

ზოია (გამომწვევად) გულიაში.

ლისავეცი. რას ამბობ, გეთაყვა! მე კი ვსინჯავ და ვერაფრით ვერ გავარჩიე... საშინელებაა. (ღეჭავს) გულიაში!.. არა, შენ სერიოზულად ამბობ?

ზოია. მე არა ვარ დამნაშავე, თუ კი ხორცი მაგარია...

ლისავეცი. არა, ზოია, გული გაქვს შენ მაგარი.

ზოია. არ მესმის, რა შუაშია აქ ჩემი გული?

ლისავეცი. უგულო ხარ ხალხის მიმართ, ისე ამზადებ, როგორც მოგეპრიანება. ოღონდ კი ადუღდეს, ხოლო რა დუღს, შენ არ გაინტერესებს, შენთვის სულერთია.

ზოია. დამსვი ტრაქტორზე მიმბმელად. მომბეზრდა! — ეს ისე არ არის, ეს ასე არ არის!.. მე აქ იმისთვის კი არ ჩამოვსულვარ, რომ მზარეული გავხდე.

ლისავეცი. ტყუილად ხარჯავ სიტყვებს. სულერთია არავინ არ გვყავს, შენ რომ შეგცვალოს. (ფარიკებით) ზოია, ადამიანი არა ხარ? გაიგე, რომ ჩვენ ყველანი დიდ საქმეს ვაკეთებთ. კვება ხომ განწყობილების წყაროა, ხოლო ტრაქტორისტის სამუშაო მძიმეა, თუ გუნებაზე არ არის და გულში ნაპერწკალი არა აქვს, ადამიანი ვერაფერს ვერ გააკეთებს. მე, რასაკვირველია, უბრალოდ ვლაპარაკობ, მაგრამ ჩემი სურვილი ხომ გასაგებია? (ლიზას) თქვენთვის გასაგებია, რა მინდა?

ლიზა. რასაკვირველია:

ზოია (გაბრაზებით). ახ, გასაგებია? მაშ დადექი ჩემს ადგილას. სიამოვნებით გითმობ.

ლისავეცი. აი ხედავ, ზოია, როგორი ხასიათი გაქვს. ერთი საათიც კი არ უცხოვრია ჩვენთან ადამიანს, შენ კი უკვე ეჩხუბები. რატომ არ იღებ მაგალითს ჩვენი ბრიგადიდან, ჩვენ ყველანი სხვადასხვანაირი ვართ, თითქოს შეუძლებელია შეწყობა, მაგრამ, აბა, ნახე, როგორი ერთსულოვნებაა ჩვენ შორის... მიჭირს მე შენთან ყოფნა, ზოია. მე ბრიგადირი ვარ, უნდა ვიცნობდე ჩემს ხალხს, შენ კი არ გიცნობ.

ზოია. სულში გიყვართ ფათური. „სული“, „სული“, საქმე სული როდია.

ლისავეცი. მაშ რა?

ზოია (ორჭოფულად). გუნებაზე არა ვარ.

ლისავეცი. რატომ არა ხარ?

ზოია. იცით და რას მეკითხებით!

ლისავეცი. არა, არ ვიცი.

ზოია. რა მოვიგე მე ამ ყამირზე? სახლში რომ ვიყავი, მოტორზე ვმუშაობდი სამკერვალო ფაბრიკაში. ათას მანეთამდე ვაკეთებდი. ყოველ საღამოს—კულტურული დასვენება. აქ კი არყის ხეებს იქით ვერსად წახვალ. და, რაც მთავარია, ყოველდღე იტეხე თავი, რით ჰკვებო ესენი!

ლისავეცი. ვინ „ესენი“?

ზოია. ვინდა თქვენ!.. მე კი, იცოდეთ, არ შემიძლია საჭმელზე ფიქრი. მე არ ვემზადებოდი შინამოსამსახურე გავმხდარიყავი და არ მსურს აქ მონად გაგიხდეთ. ღირდეს მაინც! რის გულისთვის... ლოვა ვარსკვლავზე მაინც ფიქრობს. მე კი რას, რას შევიცვენ აქ?

ლისავეცი. საბჭოთა კავშირი ვერასოდეს ვერ დაიპყრობდა ყამირ მიწას, ჩვენი ახალგაზრდობა, რომ ისეთი საძაგელი გოგოებისაგან შედგებოდეს, როგორიც შენა ხარ. შენთან ლაპარაკიც კი არ მინდა!

ზოია. შეურაცხოფის უფლება არა გაქვთ! რას ნიშნავს „საძაგელი?!“

ლისავეცი. იმას ნიშნავს, რომ შენ ის ცხვარი ხარ, რომელიც მთელ ფარას აფუჭებს.



ზოია. ვის ვაფუჭებ და რით ვაფუჭებ, მინდა ერთი ვიცოდე!

ლისავეცი. შენ მხოლოდ იმას აკეთებ, რომ დღეხარ და წუწუნებ: ხელსაყრელად ვერ მოეწყვე, წავაგე ყამირზე!.. შევრცხვეს მაინც!

ზოია. სირცხვილი ქურდობაა. მუშაობით შეძენილი კი—ბოდიში!

ლისავეცი. მოდი მე შენ ერთ მაგალითს მოგიყვან.

ზოია. მოიყვანეთ!

ლისავეცი. აი, ვთქვათ, შენ გათხოვდი ლეონზე.

სართჩკინი. მე ლეონი კი არა, ლევი ვარ.

ლისავეცი. შეგიყვარებს შენ ლეონი და გატარებს ხელის გულზე.

სართჩკინი. მე ლეონი არა ვარ.

ლისავეცი. შენ კი მას სიყვარულის პასუხად ეტყვი: ლეონ, ლეონ, კარგი ქმარი არ შემხვდა. უკეთესად გათხოვება შეიძლებოდა. მაინტერესებს, რა ხასიათზე დადგებოდა მაშინ ლეონი თუ ლიოვა, სულერთია...

სართჩკინი. რატომ დამაკავშირე შენ მე ამ ზღაპარს?

ლისავეცი. არა, შენ ის მითხარი, რა ხასიათზე დადგებოდი?

ზოია. სწორედაც რომ ქალი უნდა ხელსაყრელად გათხოვდეს.

ლისავეცი. მე ლეონის ადგილას გარეთ გაგსვამდი. და, საერთოდ, მე მგონია, რომ შენ ჩვენს ბრიგადაში არა გესაქმება რა. წადი სამუშაოდ ცენტრალურ მიწაზე. ჩვენ უშენოდ იოლად წავალთ. შენ გულიაშს მე არ ვღებულობ, იგი უხარისხოა. გამომელია მოთმინება. ჩვენთვისაც არ არის ხელსაყრელი ფული ნაგავში ვიხადოთ.

ზოია. ნება მიბოძეთ გკითხოთ,—სურსათის ფულს ვინ გადაიხდის?

ლისავეცი. ის, ვინც გააფუჭა.

ზოია. გინდათ გამყვლიფოთ, შიშველ-ტიტველი გამიშვათ ცენტრალურ მიწაზე? გასაგებია. თქვენ მე გიყვარვართ, ხელის გულზე მატარებთ, მე კი მხოლოდ გამორჩენაზე ვფიქრობ. მე ცუდი ვარ! მხოლოდ თქვენა ხართ კარგები...

ლისავეცი. მე ჩვენზე კი არა, საბჭოთა ხელისუფლებაზე

გელაპარაკებოდი. მე ხალხზე გელაპარაკებოდი, მაგრამ შენს სულელ თავს ვერაფერს შეაგნებინებ. დაიმახსოვრე, ზოია, ვინც ახალგაზრდობიდან დაიწყებს ვაჭრობას სამშობლოსთან, ის სამუდამოდ დაჰკარგავს მის სიყვარულს.

ზოია (აღშფოთებული). მე არ მესმის, რა ხდება აქ, გაუთავებლად გიკითხავენ რაღაც ლექციებს. ეს ისე არ არის, ეს ასე არ არის, თითქოს არასდროს არ მთავრდება კომკავშირის კრება. ეს აუტანელია.

საროჩკინი. მართალია ზოია, მოსაზრებელია.

ზოია (გამომწვევად). ვის გადავაბარო სამზარეულო! ღამის გასათევალაც კი არ დავრჩები აქ. გადავიხდი თქვენი საზიზღარი გულიაშის საფასურს.

ლისავეცი. შენ თვითონ მოამზადე საზიზღრად.

ზოია. ვნახოთ, ვინც მოამზადებს უკეთესად.

ლისავეცი. აი, ლიზა საჟინას ვკითხოთ. ჩაიბარებთ ზოიასაგან სამზარეულოს?

ლიზა. მეც ხომ არ ვიცი მომზადება. რომ მკითხოთ, თუ როგორ აცზადებენ გულიაშს, ვერ გეტყვით და, მართალი რომ გითხრათ, სულაც არ მიწევს გული სამზარეულოსკენ.

ზოია (ლისავეცს). თქვით ვის გადავაბარო სურსათი? მე უკვე აღარ ვარ თქვენი მზარეული!

ლისავეცი. ვინა თქვა, რომ სახელმწიფოში მზარეული უკანასკნელი ადამიანია. რატომ ლენინი არ ეძახდა მზარეულს უკანასკნელ ადამიანს. თქვენ კი, ცინგლიანებო, ეძახით? მზარეული... ლიზა, შენ ალბათ ბრიგადირისაგან კარგ საჭმელს მოითხოვ... კარგი, დადექი, ლიზა, ბრიგადირად, მე კი მზარეულად წავალ.

ზოია (ლიზას). ხედავ, რა ცხოვრება გვაქვს? ახლა შენც მოგდგება. მოთმინება აღარ მყოფნის..!

საროჩკინი. შენ კიდევ, ლისავეც, ასტეხე ალიაქოთი ამ ერთი თეფში გულიაშის გამო. საყვედურს გამოუცხადებდი, შეახურებდი. შენ კი ლენინამდე მიხვედი. არ მესმის, რა საჭიროა წვრილმან საქმეებში სამშობლოს, ხალხის, პოლიტიკის ჩარევა.

ლისავეცი. როგორც კი საქმე წვრილმან საკითხებს შეეხება, მე ყოველთვის მტყუანი ვარ. იქნებ არცა ვარ მართალი. ისე იმოქმედეთ, როგორც სწორედ მიგაჩნიათ, მაგრამ გულიაშს მე არ მივიღებ.



ზოია. დამიკავონ ხელფასიდან. ეძებეთ სხვა მზარეული.

ლისავეცი. მოვძებნით.

ზოია. ეძებეთ. ღამის გასათევად მე აქ არ დავრჩები.

ლისავეცი. ძალიან სასიამოვნოა.

ლიზა. ყამირზე ცხოვრება მე სულ სხვაგვარად წარმომედგინა.

ლისავეცი. არც შემცდარხარ. გაიცნობ ბრიგადას, მაშინ სხვა წარმოდგენა გექნება.

ზოია. ჩვენ კი, ქალიშვილო, ლოვასთან ერთად უსიამოვნო გამონაკლისს წარმოვადგენთ.

## სცენა მეხუთე

გამოჩნდება მეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ალექსი უზოროვი.

უზოროვი (ლიზას). იცნობთ? მოგწონთ?

ლიზა. უნდა მომეწონოს... ყამირი მიწების შესახებ იმდენს ლაპარაკობენ...

უზოროვი. მიწები კარგია. საჭიროა, რომ კარგ მიწებზე ხალხმა კარგად იცხოვროს.

ზოია. ვეჭვობ, რომ ჩვენთან ცხოვრება კარგად მოეწყოს, ალექსი სტეფანეს ძევ...

უზოროვი (გაკვირვებული). მაინც რატომ, ზოია?

ზოია. იმიტომ, რომ ყოველთვის ვცდილობთ გავუმწაროთ ერთმანეთს ცხოვრება.

უზოროვი. ეს ცარიელი სიტყვებია, პირდაპირ თქვი დღეს ვინ გიმწარებს.

ლისავეცი. ეჰ... ეგ თვითონ უმწარებს ყველას სიცოცხლეს.

ზოია. ვგონებ, მოვრიგდით. მე მივდივარ, ეს საკმარისი არ არის? კომკავშირის მდივანს უნდა შესჩივლოთ?.. იჩივლეთ.

უზოროვი. ისევ საჭმელზე კამათობთ?

ლისავეცი. მე გადავწყვიტე, გავანთავისუფლო ამხანაგი კოლენკინა თავისი მოვალეობისაგან... მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. გინდათ გასინჯოთ გულიაში?

უზოროვი. რატომ? მე ისედაც წარმოდგენილი მაქვს, მაგრამ განთავისუფლება ადვილი საქმეა.

ლისავეცი. ახლა იტყვი, საჭიროა გამოზარდო ადამიანი? ეცადე!

უზოროვი (ჰუმორით). მერე და როგორ?

ლისავეცი. ის უჩვეულოდ გაიზარდა.

უზოროვი. ახლა ყამირზე, გადამწყვეტი დღეებია, უზოიობა როგორ შეიძლება. მართალია, ის საჭმელს გემრიელად ვერ ამზადებს, მაგრამ...

ლისავეცი. მხოლოდ უგემურად რომ ამზადებს, მაშინ...

უზოროვი. და მაინც ხალხის უკერძოდ დატოვება და თანაც ასეთ დღეებში, არ შეიძლება. მიიღე მხედველობაში, რომ ზოიას ჯერჯერობით ვერავინ შესცვლის. თუმცა, იქნებ აი ამ ახალმოსულმა შეძლოს.

ლიზა. არ მეხერხება. ჩემი ბრალი არ არის... მე სასალტე ქარხანაში ვმუშაობდი...

უზოროვი. რას იზამ, ეპოქაა ასეთი. თანამედროვე ქალიშვილებმა ბორშის გაკეთება არ იციან.

ზოია. თქვით, ვის გადავაბაროთ დარჩენილი პროდუქტები. მე ღამეს აქ არ გავათევ.

ლისავეცი. შენ ნუ გვაშინებ. საბჭოთა ადამიანები ასე არ იქცევიან.

### სცენა მეექვსე

გამოჩნდებიან ტრაქტორისტები სერედა და ხმელკო.

სერედა (ზოიას). ვინ არ რჩება ღამის გასათევად, შენ? ძალიან კარგი.

უზოროვი. რა გაჩხუბებთ, ვერ გამიგია! იქნებ საქმე მარტო ცუდი საჭმელი არ არის.

სერედა. დიახაც, ამხანაგო მდივანო, საქმე არა მარტო ცუდი საჭმელია, არამედ ცუდი ძილიც.

უზოროვი (აღშფოთებით). თქვენ პირველ ადგილზე გამოხვედით, თქვენს შესახებ „პრავდა“ წერდა. და ნუთუ თქვენ არ შეგიძლიათ მოაგვაროთ თქვენი საყოფაცხოვრებო პირობები.. გაკვირვებული ვარ, კარგი, ვილაპარაკოთ გულახდილად. ამიხსენით რას ნიშნავს „კიდევ ცუდი ძილი“?

ლისავეცი. გამოგიტყდებით, მე ჭკუა მარტო წარმოებისათვის მყოფნის, ყოფაცხოვრებითს ამბებში ვიბნევი, ღმერთმანი...



სერედა. მოდი, უზოროვო... მე შენ ცეცხლზე ნავთს დაგისხამ, უფრო გახურებული მასლაათი გაიმართება.

ხმელკო. დაასხი, სერედა. მიყვარს მხიარულება.

სერედა. ზოია ღამ-ღამობით თავის კარავში თეატრს აწყობს. ტრაქტორისტებს გამოძინება უნდათ, ესენი კი... (აჩვენებს ზოიასა და საროჩკინის მხარეს) თვითმოქმედებას იწყებენ. გახურდება გიტარა და ბოშური სიმღერები. სოლოს ასრულებს ზოია კოლენკინა... მერე განყოფილებაში გუნდური სიმღერებია.

ხმელკო (უკრაინული აქცენტით). შენ რა, მოხუცი ხარ, სერედა? იმხიარულონ, სანამ ახალგაზრდები არიან. მეც კი დავდივარ ხოლმე მასთან. მათთან სასიამოვნოა ყოფნა. ამასაც განხილვა სჭირდება?

ლისავეცი. არსებობს შინაგანაწესი. ბანაკი საერთო საცხოვრებელია.

საროჩკინი. იწყება რაღა! ისევ მინდორში წასვლა სჯობია.

უზოროვი. მოიცადე. შენ მე მჭირდები.

საროჩკინი. რისთვის?

უზოროვი. ვისაუბროთ. (ზოიას) რას მიჩუმდი? ხედავ, როგორ გიტევენ?

ზოია. მიმიფურთხებია მათი შეტევისთვის (თითქმის ყვირის). რა გავაკეთე მე ცუდი? რა?

სერედა. შენ ყველას გასაგონად ამბობდი, რომ თხოვდებოდი ლოვკაზე.

ზოია. ეს არავისი საქმე არ არის!

სერედა. მე შენ გეკითხები. მიპასუხე!

ზოია. შენ დედა არა ხარ ჩემი და მამა! მომშორდი თავიდან!

უზოროვი. ზოია... შენ იქნებ არაფერი არ იცი! ეს საკითხი მთელს ჩვენს კოლექტივს ეხება.

ზოია. ალექსი სტეფანეს ძევ... თქვენც? ნუთუ ყველას უნდა ჰკითხო, ვინ შეიყვარო, ვის აკოცო? არაფერი ამის მსგავსი არ სწერია არც ერთ წესდებაში!..

უზოროვი. წესდებაში სწერია, რომ ჩვენ ყველგან და ყოველთვის ღირსეულად მოვიქცეთ. ჩვენ კი ზოგჯერ უღირსად ვიქცევით. (ზოიას) შენ და საროჩკინმა მართლა გადაწყვიტეთ დაქორწინება?

ზოია. თუნდაც ასე იყოს! განა ეს უღირსი საქციელია?

ხმელკო. თქვი, რომ ქორწინდები და საქმეც გათავდება.

საროჩკინი (გულისწყრომით). ეს სულ შენი ბრალია ლისავეც... ასტეხე ალიაქოთი.

ზოია (გამომწვევად). დიახ! ჩვენ მალე დავქორწინდებით, გაიხარეთ. ახლა დაწყნარდით?

სერედა. არა ზოია, არ შეიძლება დაწყნარება. ეს უკვე არაფრად არ ვარგა. ჯერ არ დაქორწინებულხართ და შენმა მოავალმა მეუღლემ უკვე მეორე გაიჩინა. შენ კი ამას გულგრილად იტან.

ხმელკო. ჯერ ახალგაზრდები არიან. ცოტა უცხოვრიათ ქვეყანაზე. ჯერ კიდევ ქარი უქრით თავში.

ლიზა (უცბად). იცით რა გითხრათ.

ლისავეცი. გსურთ რაიმე თქვათ?

ლიზა. არა, არა. მე არაფერი...

უზოროვი (მკაცრად, აღელვებით). მე ვფიქრობდი, ლოვა, პირისპირ მოგელაპარაკებოდი, მაგრამ ახლა ყველას გასაგონად თქმა მომიწევს. საროჩკინი ცოლიანია. იგი ქმარია მილა როდინასი, რომელიც ცენტრალურ მიწაზე მუშაობს.

ზოია (თავზარდაცემული). ახლა ჩემთვის გასაგებია, რატომ აყოვნებდა დაქორწინებას. მაინც რა არამზადა ყოფილხარ, ლოვა!

საროჩკინი. შენ კიდევ რატომ ცრუობ—ქორწილზე ლაპარაკიც არ ყოფილა.

ზოია. ეს შენი მხრიდან არ ყოფილა, თორემ ჩემგან, კი იყო.

საროჩკინი. დიდი რამეა! ჩვენ რაზე არ გვილაპარაკია! მე ხომ არაფერს შეგპირებივარ. და მე არა ვარ დამნაშავე, რომ შენ შესძარი ქვეყანა... ვთხოვდები, ვთხოვდები.

ზოია (წასკდა ცრემლები). როგორ მრცხვენია...

უზოროვი. ცუდად მოქცეულხარ, ძალიან ცუდია, ლევ!.. მილოჩკა ჩემთან ერთად ჩამოვიდა.

## სცენა მეშვიდე

გამოჩნდება მილოჩკა როდინა.

მილოჩკა. მე მილა როდინა ვარ... აი, ამ ამხანაგის ცოლი.

ხმელკო. ლევკა! განა ეს შეიძლება? რა ჩაიდინე.

საროჩკინი. ჩვენ მოვილაპარაკეთ ჩუმათ ვყოფილიყავით განქორწინებამდე. (მილოჩკას) მოვილაპარაკეთ თუ არა?



მილოჩკა. მე ჩუმათ ვიყავი. ჩემი ბრალი არ არის, დედაშენმა გამოგზავნა წერილი კომკავშირულ ორგანიზაციაში.

სერედა. მოგვაცილე ეგ, ამხანაგო უზოროვ; არ გვჭირდება ასეთი დამკვრელები!

საროჩკინი (უზოროვს). რა წერილი?

უზოროვი. დედაშენს ეშინია, რომ მილოჩკა არ მიატოვო, მაგრამ მაინც ასე მოხდა.

საროჩკინი. ჩვენ მშვიდობიანად მოვილაპარაკეთ. (მილოჩკას) თქვი ხომ მშვიდობიანად მოვილაპარაკეთ? (მილოჩკა გაჩუმებულია) მაშ რაღად ჩამოხვედი? დრამების მოსაწყობად?..

მილოჩკა. იმიტომ ჩამოვედი, რომ გავაფრთხილო ხალხი, რომ შენ ცოლიანი ხარ.

საროჩკინი. ვიყავი!

მილოჩკა. ვთქვათ იყავი... ეგეც იცოდნენ. თორემ შენ მეტად ნაზად იცი თვალის ახვევა.

ლიზა (დაცინვით). მართლაც რომ იცის.

ლისავეცი. რა, აქაც მოასწარი?

ლიზა. მეგობრობაც, სხივიანი თვალებიც... სულ ტყუილია და რისი გულისთვის?

სერედა. ეს თავაშვებულობაა. თვითონ არის გახრწნილი და სხვებსაც ხრწნის.

ხმელკო. შესანიშნავი ბიჭია, მაგრამ ეხლა ისიც კი ამბობს, რომ მარადიული სიყვარული არ არსებობსო.

უზოროვი. ჩვენს ხმელკომდე ეგ ლერმონტოვმა თქვა.

სერედა. რა ვუყოთ, რომ ლერმონტოვმა თქვა. მაპატიეთ, მაგრამ მე არ მესმის ლიტერატურის ასეთი გავლენა... წაიყვანეთ იგი ჩვენგან, ამხანაგო უზოროვ.

ლისავეცი. არ ღირს ჩვენი ბრიგადის შერცხვენა.

საროჩკინი. რით ვარცხვენ? გეგმას 150% ვასრულებ, ღამე რომ გვაღვიძებენ პირველი ვდგები. ყველაფერს ვაკეთებ, რაც მევალება და რაც არ მევალება... ტრაქტორი თითქმის არც კი ჩერდება... მთელი ჩვენი მეურნეობა გაკვირვებულია. ვინ აკეთებს ამას?

ლისავეცი შენ.

საროჩკინი. და მე ვარცხვენ?

ლისავეცი. შენ.

საროჩკინი. თქვი რით ვარცხვენ?

ლისავეცი. შენ ახლა ორ ადამიანს შეგავედრეს და არც კი გაწითლებულხარ თითქოს ასეც უნდა.

საროჩკინი. ეს რა შუაშია?

ლისავეცი. შენ მორალი არა გაქვს. შენ უგულოდ ცხოვრობ. ოქროს ვარსკვლავისაკენ მიიწევ... ნუ მიიწევ, ვერ ეღირსები!..

საროჩკინი. თუმც შენ ბრიგადირი ხარ და შენზე ბევრია დამოკიდებული, მაგრამ შენს გარდა არის კიდევ დირექცია... კომკავშირი.

უზოროვი. ცუდად არის საქმე, ლევ, ძალიან ცუდად. მოატყუე შენ კომკავშირი. უსინდისობა ჩირქს სცხებს ადამიანს.. როგორ ფიქრობ?

ლისავეცი. სწორს ამბობ, ალიოშა! ლოვკა ცხოვრებას ისე უყურებს, როგორც საკუთარი პიროვნების დაკმაყოფილების წყაროს. ზოიასაც იგივე ასწავლა. სანამ ლოვკას გაიცნობდა, ზოია სულ სხვა ადამიანი იყო. ახლა რა გამოვიდა? ლოვოჩკა ვარსკვლავისთვის ჩამობრძანდა ყამირზე, მე კი რისთვისო? მოდი ფულებს მოვბღუჯავო, ბრიგადისადმი კი ყოველგვარი ინტერესი დაიკარგა. და კერძს ისე ამზადებს, მხოლოდ ძაღლებს თუ ეჭმევა.

ზოია. ეჰ, ლიოვა, ლიოვა... მეუბნებოდი, რომ იპოვნე შენი ოცნება.

ლიზა. ოცნება?

სერედა. მერე რა?

ლიზა. ისე... სასაცილოა.

უზოროვი. სასაცილო აქ ცოტა რამეა, ქალიშვილებო. საროჩკინი შეცნებული ადამიანია, რომელიც დიდი ჯილდოს ღირსი იქნებოდა... ის ჩემი მეგობარია, ეს ყველამ იცის და მით უფრო ძნელია ჩემთვის მისი გაკიცხვა.

საროჩკინი. არ მესმის... აუცილებელია ერთს შეაბერდე? ხოლო თუ მასთან ცხოვრება არ შეგიძლია, ეს გარეწრობაა?

სერედა. რომელ შებერებაზე ლაპარაკობ? შენ ჯერ ცხოვრება არც დაგიწყია.

საროჩკინი. ეგრე იყოს, მაგრამ შემიძლია მე შევცდე? რატომ არავეერს ამბობს მილოჩკა.

ლისავეცი. რა აქვს სათქმელი. შენ ხომ მიატოვე ის.

საროჩკინი. როგორ თუ მივატოვე? ნივთი ხომ არ არის.



ლისავეცი. მართალია, ნივთი არ არის, ადამიანია და, როგორ ფიქრობ, როგორ უნდა მოექცე?

საროჩკინი. და არც ჩემს კმაყოფაზე იყო, როგორც ძველ დროში. აიჩემეთ: მიატოვე, მიატოვე...

მილოჩკა. მე მას არ ვუყვარვარ...

უზოროვი. ეს ნათელია. შენ კი გიყვარს?

მილოჩკა. ალექსი სტეფანეს ძევ, ძნელია ამაზე ლაპარაკი... კიდევ კარგი, რომ ყამირზე მას კვალდაკვალ გამოვყევი. აქ რაღაც უფრო მეტი თავისუფლებაა. დავიწყე მუშაობა და ცოტა გამოვცოცხლდი. ძალიან ძნელია ამაზე ლაპარაკი.

უზოროვი. მაშ, ნუ ლაპარაკობ.

ზოია. როგორ მძაგს ჩემი თავი, როგორ მძაგს.

სერედა (განცვიფრებული). ზოია.

ზოია. ჰო, მძაგს. ჩამოვიდა ბრიგადაში ყმაწვილი. აბა გიტარა, აბა ბოშური სიმღერები. ინტელიგენტად მოაქვს თავი. შესახედავად კარგია და მეც გავგიჟდი: არავის არ დავუთმობ, ჩემი იქნება-მეთქი. მაგრამ ვინ არის ის? რა არის? რათ მინდა მე? თვითონ არ ვიცი. პირველ რიგში მან ცნობა მომართვა...

ლიზა. ცნობა?..

ზოია. შენთანაც მოასწრო?

ლიზა. ჰო.

ზოია. ხომ ხედავთ, ის თავს იგდებს, ჩვენ კი მკუიდან ვიშლებით. რა სისულელეა, ღმერთმანი. მე კიდევ დავდივარ და ვიკვეხნი „ვთხოვდები"-მეთქი, გოგოები შურით გულზე სკდებიან. ერთი გამოდგა ჭკვიანი ჩვენს კარავში და ისიც გავასახლე. აქამდე ვერ დავწყნარებულვარ. (პაუზა) მე ვარ მარტო დამნაშავე სხვა არავინ. თუმცა მე ისეთი ვარ რომ თვალებს დავთხრიდი ლიოვკას, მაგრამ რა გამოვა? ისევ-ისე სულელად დავრჩები.

ლიზა. მძიმე მდგომარეობაა... აი, ჩაგჩურჩულებს კაცი: „დაუგდეთ ყური... რაზე ჟღერენ სიმები..."

ზოია. შენ კი ნუ უსმენ.

ლიზა. მეგობრობას გთავაზობენ.

ზოია. არ მიიღო.

ლიზა. გინდა გწამდეს.

ზოია. ჯერ შეამოწმე, შემდეგ იწამე.

ლიზა (საროჩკინს). თქვით რამე თავის გასამართლებელი.

საროჩკინი. მგონი ჯერჯერობით არ მასამართლებენ,

თქვენს მიმართ კი მე აბსოლუტურად არ ვგრძნობ თავს დამნაშავედ. შეგეძლოთ არ შეგემჩნიეთ. სიმართლე კი რომ გითხრათ, თქვენ მე მართლა მომწონხართ.

ლიზა (აწყვეტინებს გაოცებული). შეხედეთ ერთი! ეს რა ადამიანია, არცხვენენ, ტუქსავენ, ის კი თავისას განაგრძობს.

ზოია (თითქმის ყვირის). აი, სწორედ ამან შემაცდინა. მე მას ერთს ვეუბნები, ის კი მეორეზე მელაპარაკებოდა. მე ვეუბნები: „არ მჯერა, სტყუი.“ იგი კი იმეორებს: „მხოლოდ შენით ვცოცხლობო“.

უზოროვი. ეს დრამა ბიუროზე უნდა განვიხილოთ.

ხმელკო. დრამა? ეს დრამა რაღაა? როცა ძალიან მწარე რამეა? ალიოშა, შენ სერიოზულად ფიქრობ ასე?

უზოროვი. შენ კი არ ფიქრობ ასე? ჩვენ ამ საკითხს ძალზე ადვილად ვუყურებთ. შეერთდნენ, დაშორდნენ — თითქოს რაღაც ძმაკაცური დამოკიდებულებაა. ოჯახის დანგრევა დიდი უბედურებაა. მილოჩკამ მითხრა, რომ ამ ქორწინების შემდეგ სულით დაბერდა. განა ეს დრამა არ არის? მე არ მინდა ვთქვა, რომ საროჩკინი ხელიდან წასული ადამიანია. ზოიამ გულახდილად აღიარა, რომ ასეთ საკითხში ხშირად ქალიშვილებიც არიან დამნაშავენი, მაგრამ ვერავითარი მეგობრობა ვერ მაიძულებს ლიოვკას ხელი დავაფარო... თუ საჭირო იქნება, შეიძლება კომკავშირიდანაც მივაბრძანოთ.

საროჩკინი. რისთვის?

უზოროვი. თუნდაც იმისათვის, რომ ამ კითხვას სვამ. ე. ი. შენ სულ დაგავიწყდა მორალი. რა თქმა უნდა შენ თავს გევლებიან, ლამაზი ხარ, თმასაც იხვევ...

საროჩკინი. იქნებ მე სხვებზე უფრო მეტად ვიტანჯები... ჩემი ბრალია, რომ სიყვარულში ბედი არა მაქვს?

სერედა. შენ არა გაქვს ბედი?

ლისავეცი. შენ?

უზოროვი. ლიოვა!

ხმელკო. რა წამოროშა!

(გოგოების და საროჩკინის გარდა ყველა იცინის)

უზოროვი. ყველაზე ცუდი ის არის, რომ შენ გულცივი ეგოისტი ხარ. იცი ასეთი სიტყვა?

საროჩკინი. მე სავსებით ვეთანხმები ზოიას, ჩვენ აქ გაუთავებელი კომკავშირის კრება გვაქვს.

სერედა. შენ მიჩვეული იყავი კომკავშირის კრებებზე ლამაზი სიტყვების რახუნს, მაშინ როცა სახლში სხვაგვარად, მეშჩანურად ცხოვრობდი. ყამირზე კი, გაები, ყმაწვილო!

უზოროვი. ჰო, ლიოვა, აქ, ყამირზე ველები შორს ჩანს, ადამიანის ავ-კარგიც გულით გამოჩნდება... გონს მოეგე, მე კაცო, ხალხი ყოველი დღით კომუნიზმს უახლოვდება, შენ კი საით მიდიხარ? არ გამოვა! უკან არავინ გაგიშვებს.

საროჩკინი. მე კარგად ვმუშაობ. გეგმას 150% ვასრულებ.

ლისავეცი. კმარა! გვსმენია! ვიცით! შენ პირად ცხოვრებაშიც რომ ასეთი მაჩვენებლებით მიდიოდე, მაშინ რა კაცი იქნებოდა საროჩკინი! (უყურებს საროჩკინს და ზოიას). რა ვუყოთ მას, ალექსი სტეფანეს ძევ? მე გადავიფიქრე. დარჩეს ბრიგადაში. მართლაც რომ მასთან ერთად გავდიოდით ჩვენ პირველ ადგილზე. რატომ გავუშვათ? მაშ ასე. ნახვამდის, ბიჭებო, დროა, სამუშაოზე!

## სცენა მერვე

ლისავეცი, ხმელკო, სერედა გავიდნენ.

უზოროვი. მაშ ასე, ლოვა, ბიუროს მორიგ სხდომაზე ერთი საკითხია — შენი!

საროჩკინი. უფრო მნიშვნელოვანი არაფერი გაქვთ.

უზოროვი. ყამირი ავითვისეთ. მოსავალი კარგი გვექნება. ადამიანთა დამოკიდებულებაში კი ხანდახან ისეთი გაურკვევლობაა, რომ საჭირო ხდება კოლექტიურად გაარჩიო. შენ, ლიოვკა, ცუდ გზაზე დგეხარ, თუ ასე გაგრძელდა — დაიღუპები.

მილოჩკა. (საროჩკინს) ნახვამდის. მიილე მხედველობაში, მე არ მიჩივლია და არც არაფერი მითხოვია.

საროჩკინი. დედამ რა მოიწერა?

მილოჩკა. დედა ჩვენი განქორწინების წინააღმდეგი იქნება.

საროჩკინი (დაფიქრდება). მაშ, იქნებ საჭირო არ არის გაყრა?

მილოჩკა. რა ადვილად სწყვეტ... მშვიდობით (გადის).

საროჩკინი (ქალიშვილებს). რას გაჩუმებულხართ? გამკიცხეთ!

ლიზა. ყმაწვილო, ნუ იპრანჭებით! ეგ საძაგლობაა.

საროჩკინი. ნუთუ?.. კარგი... მივდივარ.

ზოია. ლიზა...

ლიზა. რა იყო?

ზ ო ი ა. მოდი ერთად ვიმუშაოთ.

ლ ი ზ ა. მაგრამ შენ ხომ მიდიხარ ბრიგადიდან.

ზ ო ი ა. არა, არ მივდივარ. და არც მინდა, რომ ჩემზე ილაპარაკონ, თითქოს მე უსულგულო ადამიანი ვარ. მთავარი ისაა, რომ სამშობლოს ვევაჭრები! არავითარი ინტერესი არა მაქვს ბრიგადისადმი! გინდა შენ იყავი უფროსი, მე კი თანაშემწედ დაგიდგები. შენ დაკვირვებული გოგონა ხარ, დინჯი... ერთად ვქვებოთ ხალხი, თუმცა მიყვირიან ისინი, მაინც კარგები არიან.

ლ ი ზ ა (მოეხვევა ზოიას). ყოჩაღ. უფროსად ყოფნა მე არ მინდა, ერთად კი ვიმუშაოთ. კარგია თქვენთან ყოფნა, თუმცა ჯერ არ მოგიგვარებიათ ცხოვრება. მე არ მეგონა რომ ასე იქნებოდა, ცხოვრება კი სწორედ ასეთი უნდა იყოს, მგზნებარე, რთული. არა, ძალიან კარგია თქვენთან ყოფნა... დაუსრულებელი ჰორიზონტებია...

ფ ა რ დ ა